

გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

*ხელნაწერის უფლებით
Copyright protected*

სოფიო ასანიძე
Sophio Asanidze

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)
კრიმინოლოგიური დახასიათება
Criminological Characteristics of the Illegal Income Legalization (Money
Laundering)

სპეციალობა: კრიმინოლოგია;
სისხლის სამართალი.

Specialty: Criminology;
Criminal Law.

დისერტაცია წარმოდგენილია სამართალმცოდნეობის დოქტორის
(PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
The thesis is presented to obtain academic degree of Doctor of Law

რეზიუმე
RESUME

თბილისი
Tbilisi
2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ასანიძე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)
კრიმინოლოგიური დახასიათება

სპეციალობა: კრიმინოლოგია;
სისხლის სამართალი.

დისერტაცია წარმოდგენილია სამართალმცოდნეობის დოქტორის
(PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი
2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მალხაზ ბაძაღუა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები:

ჯემალ გახოკიძე, სამართალმცოდნეობის და პოლიტიკის

მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თამარ ებრაღიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, თინათინ

წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი

მეცნიერ-თანამშრომელი

თეიმურაზ ბერიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება _____

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტისა და სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, ჯანო
ბაგრატიონის ქ. #6)

რეზიუმე დაიგზავნა 2011 წლის _____

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

----- თამარ ღლონტი

ს ა რ ჭ ე ვ ი

1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება -----2
2. ნაშრომის შინაარსი -----12
3. დასკვნა-რეკომენდაციები -----27
4. გამოყენებული ლიტერატურა -----41
5. გამოქვეყნებული შრომები -----44

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კვლევის აქტუალობა. მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების აღკვეთის პრობლემა აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80–90–იანი წლებიდან. მეცნიერებაში არალეგალური შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (იგივე „ფულის გათეთრების“) სახელწოდება მიიღო.

1988 წლის 19 დეკემბერს ვენაში მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,“ რომელმაც მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები დაარწმუნა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის გადახედვის და ფულის გათეთრების სულ უფრო პროგრესირებადი პრობლემის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის აუცილებლობაში. სწორედ აღნიშნულმა კონვენციამ მისცა ბიძგი შემდგომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო დოკუმენტების შექმნას.

ფულის გათეთრების აღკვეთის ინსტიტუტების შექმნის პროცესის შეწავლა გვიჩვენებს, რომ გლობალურ მასშტაბში მათი წარმოქმნა და განვითარება ხდებოდა ნარკოტიკების საერთაშორისო უკანონო ბრუნვის, ორგანიზებული დანაშაულობის, კორუფციისა და ტერორიზმის აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლების ფორმირების პარალელურად. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზაციაც, ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოჩამოთვლილ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან.

ფულის გათეთრება ახალი მოვლენა არ არის. დამნაშავეები ყოველთვის ცდილობდნენ შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროს

დაფარვას, თუმცა, თუ ადრე ეს პრობლემა განიხილებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეში, ახლა მან უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

ფულის გათეთრება ნებისმიერი იმ დანაშაულის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიზანიც უკანონო შემოსავლის მიღებაა. ეს არის დანაშაულობის ეფექტურ და მაღალშემოსავლიან წარმოებად გადაქცევის დამამთავრებელი ეტაპი, რის შედეგადაც პირთა არაკონტროლირებადი ჯგუფის ხელში ხდება ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური ძალაუფლების მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებისათვის საშიში თავმოყრა.

რთულია წარმოვიდგინოთ რეალური მასშტაბები ფინანსური ნაკადებისა, რომლებსაც ქმნის და რომლითაც ოპერირებს სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულობა, რადგან ფულის გათეთრების მთელი რიგი მეთოდები თითქმის მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული. ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომელ სფეროებზე აისახება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გავლენა და რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ ნეგატიურმა მოვლენამ კონკრეტულ სახელმწიფოს, რეგიონსა თუ მსოფლიო საზოგადოებას.

ლეგალიზებული სახსრების მოცულობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მსოფლიო ეკონომიკასაც, რაც ფინანსური ბაზრის მთლიანობის რღვევაში გამოიხატება. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა ერთი ქვეყნიდან მეორეში კაპიტალის გადაადგილების ტემპის გაზრდით. მასობრივმა კომუნიკაციამ გააიოლა კონტაქტი საზღვარგარეთელ პარტნიორებთან. საბანკო საქმემ დააჩქარა და გაამარტივა საერთაშორისო გარიგებების განხორციელების პროცედურა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი სტიმული მისცა როგორც კანონიერ სამეწარმეო, ისე დანაშაულებრივ საქმიანობას. სახელმწიფოს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა

გაატაროს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა – წარმოიქმნება და ვითარდება ჩრდილოვანი სფერო, რომელსაც შეუძია ეროვნული ეკონომიკის დეფორმირება, იზრდება ინფლაცია, ზარალდება ლეგალური კერძო სექტორი, ექვექვემ დგება წარმატებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. ზოგჯერ არალეგალური ფულადი სახსრების მოცულობა აჭარბებს განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ბიუჯეტს, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს ქვეყნის კრიმინალიზაციას, ილახება ქვეყნის რეპუტაცია, რის შედეგადაც მცირდება პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა და ხდება კაპიტალის გადინება.

ფულის გათეთრებას აქვს სოციალური და პოლიტიკური შედეგებიც. დამნაშავეები უკანონო შემოსავლების წყალობით გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკაზე, ფაქტობრივად, იტაცებენ ლეგიტიმური მმართველობის ფუნქციების ნაწილს.

ფულის გათეთრების უმნიშვნელოვანეს ნეგატიურ შედეგად მიიჩნევა მისი კავშირი ისეთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან, როგორცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის უკანონო გავრცელება, კორუფცია, ორგანიზებული დანაშაულობა და ა.შ. როგორც წესი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ქმნის ლატენტურობის პირობებს დანაშაულობის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისათვის და შეიძლება, ერთდროულად გახდეს ამ მოვლენების მასშტაბების გაზრდის როგორც მიზეზი, ისე შედეგი. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის გათეთრება დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის დამატებითი სტიმულია კრიმინალური საქმიანობის გასაფართოებლად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიო მასშტაბით არაერთი პრობლემა არსებობს. პირველ რიგში, არასაკმარისად მჭიდროა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. ქვეყნებს შორის ეფექტური თანამშრომლობა დამოკიდებულია

პოლიტიკურ ნებაზე, საფინანსო სფეროს თავისებურებებზე, კორუფციის დონეზე, სოციალური-ეკონომიკურ განვითარებაზე. განსხვავებულია აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომაც – ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მიზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით ცდილობენ ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის ერთგვარ კომპენსირებას.

ჩვენი ქვეყანა, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთ-ერთ „მიმზიდველ“ ქვეყნად შეიძლება იქცეს ფულის „გათეთრებლებისათვის.“ ერთი მხრივ, საქართველო ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს და სწორედ ამ მიმართულებით მოძრაობს ნარკოტიკების ნაკადი, მეორე მხრივ, საქართველოს იურისდიქციაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება და, სავარაუდოდ, კონტრაბანდის კერას წარმოადგენს.

ვინაიდან ფულის გათეთრების სქემები ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა და, შესაბამისად, არსებობს ამ სქემებში ქართული ეკონომიკის ჩართვის საფრთხე, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია სწრაფი და გააზრებული რეაგირება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისა და მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით ახალი მიდგომების შემუშავება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის გათეთრება, როგორც კვლევის ობიექტი, ახალი მიმართულებაა. საქართველოს, ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობებში, ფულის გათეთრებამ ადგილი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოს დაიმკვიდრა, რაც გვამღევეს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ კანონმდებლობის სრულყოფილებაში და წარმოვაჩინოთ უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის დახვეწის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ამისათვის აუცილებელია ამ ფენომენის მიზეზების, პირობების, მისი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების დადგენა, რაც, თავის მხრივ, კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ჩატარებული კვლევის პრაქტიკული და მეცნიერული აქტუალობა.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ერთ–ერთი პირველი, მოკრძალებული მცდელობაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მეცნიერული შესწავლის, ამ მოვლენის კრიმინოლოგიური ასპექტების კომპლექსური დამუშავებისა და, ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით, ცალკეული რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნებია:

- განხორციელდეს საქართველოში არსებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა და სინთეზური ანალიზი;
- განხორციელდეს მოცემული დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების, პირობებისა და მათი თავიდან აცილების პრევენციული ზომების ერთიანი სისტემატიზაცია;
- შემუშავებულ იქნას ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგია და ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას;
- ჩამოყალიბდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფისათვის საჭირო რეკომენდაციები.

დასახული მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილ იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრით:

- ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულობის წარმოშობისა და გავრცელების ისტორიული გაანალიზებით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის – ნეგატიური სოციალური მოვლენის არსის გაანალიზებით;
- სხვადასხვა რელევანტური სტატისტიკური მონაცემების შეჯერებითა და გაანალიზებით;
- სოციოლოგიური კვლევის ჩატარებითა და მიღებული შედეგების მრავალმხრივი ანალიზით;
- მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებული ლეგალიზაციის სქემებისა და მეთოდების შესწავლითა და გაანალიზებით;
- საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზითა და ძირითადი ტენდენციების განსაზღვრით, რომლებიც ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტებია;
- საქართველოში ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლით, ანალიზითა და ეფექტურობის შეფასებით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების კომპლექსურობის, როგორც პრობლემის გადაჭრის უმთავრესი თეორიულ-გამოყენებითი მეთოდის გაშუქებით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დეტერმინანტების გამოვლენით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მიზნით მეცნიერული დასკვნების ფორმულირებითა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებით.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა.
კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სისხლისსამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ისტორიული – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების საერთაშორისო ასპექტების შესწავლისას;
- შედარებით–სამართლებრივი – საერთაშორისო–სამართლებრივი ნორმებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლისას;
- სტატისტიკური – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს მონაცემების გაანალიზებისას;
- ანკეტირების – მოქალაქეთა ხუთი მიზნობრივი ჯგუფის – საბანკო, საჯარო, ბიზნესსექტორში დასაქმებული პირების, სტუდენტებისა და უმუშევრების გამოკითხვისას;
- დოკუმენტური – სპეციალური ლიტერატურის, კანონმდებლობის, ანალიტიკური მასალის შესწავლისას.

ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას ქმნის კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართალში, ჰუმანიტარული პროფილის სხვა მეცნიერებებში ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები; ნორმატიულ ბაზად გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე სტატისტიკური მასალა, ინტერნეტ რესურსი და ა.შ. ავტორის მიერ ფართოდ იქნა გამოყენებული მისივე სამუშაო გამოცდილება საბანკო სექტორში.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.
დისერტაციაში წამოყენებული და დასაბუთებულია მეცნიერული და

პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი დებულებები, მათ შორის:

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც რთული სოციალურ-იურიდიული მოვლენის დეფინიციის ავტორისეული ვარიანტი;
- კვლევის პროცესში გამოვლენილ იქნა იმ ზოგადი და სპეციალური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე;
- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით მოცემულია კონკრეტული წინადადებები;
- კვლევის სიახლეა, რასაც ამავე დროს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგიისა და იმ ძირითადი პრინციპების დადგენის მცდელობა, რომლებითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას.
- დისერტაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას ამყარებს კვლევის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის გაგების მიზნით ჩატარებული კრიმინოლოგიური კვლევა ანკეტირების მეთოდის გამოყენებით, რაც ამ სფეროში საქართველოში აქამდე არ განხორციელებულა;
- სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები, მეცნიერულადაა დასაბუთებული მათი როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები.
- რეკომენდაციების სახით განსაზღვრულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იქნება უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და პრევენციაზე.

ნაშრომში შესწავლილია ფულის გათეთრების სოციალური ბუნება, განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები; თეორიული და ემპირიული მასალების საფუძველზე შემუშავებული და დასაბუთებულია წინადადებები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინოლოგიური ღონისძიებების სრულყოფისათვის. მასალის გადმოცემის თანმიმდევრობა განპირობებულია მცდელობით, შეიქმნას მთლიანი წარმოდგენა ფულის გათეთრებაზე, როგორც კრიმინალური საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმაზე, მისი სოციალური დეტერმინანტების სისტემასა და აღკვეთის ღონისძიებებზე.

ნაშრომი ქართულ ენაზე ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული წყაროს შექმნის მცდელობაა, რაც, ჩვენი აზრით, ზრდის მის ღირებულებას და მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ. დისერტაციის მასალები პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონშემოქმედებით საქმიანობაში; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენის, გახსნისა და გამოძიების განმახორციელებელი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას; სასწავლო იურიდიულ დაწესებულებაში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კურსის სწავლებისას; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემების სრულყოფაზე შემდგომი მუშაობისას.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაციის ძირითად დებულებებზე მოხსენებები გაკეთებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის სხდომებსა და კონფერენციებზე. დისერტაციის შინაარსის ამსახველი დებულებები გაშუქებული და გაანალიზებულია ცალკეულ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში.

ნაშრომის შინაარსი

ნაშრომის **პირველი თავი** ეძღვნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას (ფულის გათეთრებას), როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტს.

აღნიშნული თავის **პირველ პარაგრაფში** მოცემულია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულობის წარმოშობისა და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა, როგორც კონკრეტულად საქართველოს, ისე, ზოგადად, მსოფლიო მასშტაბით. ნაშრომში მოყვანილია ფულის გათეთრების მსგავსი ქმედებების კონკრეტული მაგალითები, რაც მოწმობს ამ სოციალური მოვლენის არსებობას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში. აქვე დეტალურადაა აღწერილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორია ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით, საუბარია მის ფუძემდებელ მეიერ ლანსკიზე, რომელიც გასული საუკუნის 20–იან წლებში გახდა დღეისათვის ცნობილი ფულის გათეთრების უმეტესი მეთოდების პირველადმომჩენი.

პარაგრაფში ყურადღება ეთმობა გასული საუკუნის 80–იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს, განვითარებული სახელმწიფოების პოსტინდუსტრიულ ეკონომიკასა და წარმოების ინფორმაციულ მეთოდზე გადასვალს, ევრობაზრის განვითარებასა და ახალი მსოფლიო ფინანსური ცენტრების წარმოქმნას; ხაზგასმულია ფინანსური ბაზრებისა და სავალუტო კონტროლის ლიბერალიზაციის შედეგად ტრანსნაციონალური კაპიტალის გადაადგილების ახალი შესაძლებლობები.

პარაგრაფში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოში ჯერ კიდევ ე.წ. „პერესტროიკის“ დასაწყისიდან 90–იანი წლების ბოლომდე განვითარებულ მოვლენებს. აქცენტებია გაკეთებული იმ გარემოებაზე, რომ დროისა და სიტუაციის შესაბამისი

სამართლებრივი ბაზის ფორმირება ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო ურთიერთობების განვითარების ტემპთან შედარებით აშკარად არაადეკვატურად მიმდინარეობდა. ხაზგასმულია ასევე, რომ 90-იანი წლების განმავლობაში ქვეყანაში საინვესტიციო რესურსების მძაფრმა უკმარისობამ არსებითად დააქვეითა ფულის გათეთრების პრობლემისადმი მგრძობელობის ზღვარი. 1999 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის დაწესებამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა, ვინაიდან ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში რეალიზებული არ იყო იდეა კომპლექსური მიდგომის შესახებ.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ცნება, საერთაშორისო სამართლის აქტების, ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომების, ასევე ქართული კანონმდებლობის მიხედვით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სფეროში მოქმედ კონვენციებში, შეთანხმებებსა და რეკომენდაციებში გათვალისწინებული დეფინიციების ანალიზის შედეგად, გაკეთებულია დასკვნა, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ფულის გათეთრება განისაზღვრება, როგორც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის მეთოდი იმ მიზნით, რომ შემდგომში მოხდეს მათი ლეგალურად გამოყენება.

ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია დეფინიციის ავტორისეული ვარიანტი, რომელიც, ჩვენი აზრით, ამარტივებს ამ მოვლენის გაგებას და უფრო სრულყოფილი განსაზღვრებაა: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) არის უკანონო გზით მიღებული (მოპოვებული/შემენილი) ქონების წარმოშობის (ნამდვილი) წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი კანონიერ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის (შეტანის) გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების (მოპოვება/შემენის) ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების

თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა.” მოცემულ განსაზღვრებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია, როგორც პირის მიერ განხორციელებული განზრახი ქმედება; დაკონკრეტებულია ფულის გათეთრების საგანი, მეთოდი და მიზანი; ასახულია მართლსაწინააღმდეგო აქტი, ხაზგასმულია მისი ანტისაზოგადოებრივი მიმართულება.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითად ტენდენციებს.

მეორე თავის პირველ პარაგრაფში პირველ საკითხად განხილულია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებში, უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება დანაშაულთა ერთობლიობა ანუ პირი პასუხისგებაში მიცემულ იქნა და სასამართლომ განაჩენი გამოიტანა რამდენიმე (მათ შორის 194–ე) მუხლის ერთობლიობით. რაც შეეხება კონკრეტულ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატება ფულის გათეთრების ფაქტები, მოყვანილია ცალკეული შემთხვევები, მაგალითად: სისხლის სამართლის ერთ–ერთი საქმის მასალების მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში შეიქმნა ფიქტიური კომპანიები, მათ სახელზე კი ერთ–ერთ ქართულ ბანკში, გენერალური დირექტორის დახმარებით, კანონმდებლობის დარღვევით გაიხსნა ანგარიშები. ანგარიშებზე ხდებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების ობიექტური საფუძვლის გარეშე განთავსება, დანაწევრება და სხვადასხვა ოფშორული კომპანიისათვის გადარიცხვა. სტატისტიკურ მასალაში დაფიქსირებულია, ასევე, უკანონოდ მიღებული შემოსავლის რეალიზაციის ფაქტები.

მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები, რომ 2008, 2009, 2010 წლებში სასამართლო განაჩენით დაკისრებული სასჯელები გასულ წლებთან შედარებით მკაცრი იყო, როგორც თავისუფლების აღკვეთი ვადის ხანგრძლივობით, ასევე ჯარიმის ოდენობის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია ასევე, რომ 2010 წლის 6 თვის მონაცემებით რაოდენობრივად სსკ 194-ე მუხლით ყველაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე დაფიქსირდა. ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს იმას, რომ სახელმწიფო ცდილობს, სასჯელი შეესაბამებოდეს ქმედების სიმძიმეს, რათა ამ გზით სხვა ზომებთან ერთად ეფექტურად მოხდეს წინა წლებში „ხელმიშვებული“ დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა. თუმცა, გაკეთებულია დაკვნა, რომ სტატისტიკური მონაცემები რეალურად არსებული ფულის გათეთრების ფაქტების მცირე ნაწილს ასახავს, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ხასიათდება ლატენტურობის მაღალი დონით, რასაც მისი ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლებიც ადასტურებს;
2. სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება ეკონომიკური დანაშაულობებისა და მათ შორის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. სწორედ ამას მოწმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალა, რომლის მიხედვითაც 2006–2010 წლებში სსკ 194-ე მუხლით დარეგისტრირდა 44 დანაშაული, საიდანაც, მხოლოდ 8, ანუ 18% გაიხსნა.
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რთული კონსტრუქციის დანაშაულია. როგორც წესი, ფულის გათეთრების პროცესი არ მოიცავს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ოპერაციას, ამასთან ტრანსნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე ის ფართოდ არის გავრცელებული სივრცეში და ასევე დროშიც, რაც,

ბუნებრივია, ართულებს მის გამოვლენას, გამოძებასა და დასჯას.

ამავე პარაგრაფის მეორე საკითხი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის კვლევას, რომელიც ანკეტირების მეთოდით განხორციელდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 400–მა რესპოდენტმა, მოცემული იყო 5 მიზნობრივი ჯგუფი – საბანკო, საჯარო და ბიზნესსექტორში დასაქმებული პირები, ასევე სტუდენტები და უმუშევრები. ანკეტა შედგებოდა 18 კითხვისგან. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

1. ფულის გათეთრების სამართლებრივი განმარტების სიახლიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესო იყო რესპოდენტთა რა რაოდენობა ფლობდა ინფორმაციას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 85%–ს აქვს ინფორმაცია ამ დანაშაულზე. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა მიგვაჩნია, რომ გამოკითხულთა 15%, რომელიც არ ფლობს არანაირ ინფორმაციას აღნიშნული დანაშაულის შესახებ, სწორედ იმ რისკის ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც პოტენციურად შეიძლება დამნაშავეების მიერ ჩართულ იქნას ფულის გათეთრების სქემებში ფიქტიური პირების სახით;

2. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის თითქმის 72%–მა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაასახელა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსახლეობის სამართლებრივი განათლების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების ეფექტურობას;

3. რესპოდენტთა უმეტესობა ჯეროვნად ერკვევა ფულის გათეთრების არსში. მათ სწორი წარმოდგენა აქვთ ამ დანაშაულის ჩადენის

მოტივზე, დამნაშავეთა კატეგორიებზე, მაპროვოცირებელ ფაქტორებსა და იმ უარყოფით შედეგებზე, რასაც ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის გავრცელება იწვევს;

4. გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ ფულის გათეთრების არსებობას, მისი მასშტაბების ზრდასა და გავრცელების პერსპექტივას მყარი საფუძვლები აქვს საქართველოში, ამის მიზეზად კი შემდეგი გარემოებები დასახელდა: არაადეკვატური კანონმდებლობა, ტენდერების გაუმჭვირვალედ ჩატარება, შესაბამისი ორგანოების მიერ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის არასათანადოდ განხორციელება, კორუფცია ზედა ეშელონებში, დიდი ოდენობით საზღვარგარეთული ინვესტიციები, სოციალური გაჭირვება და ცხოვრების დაბალი დონე, მაღალი საგადასახადო განაკვეთები, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა, ოფშორული კომპანიების აქტიურად გამოყენება და სხვ. საპირისპირო პოზიცია დააფიქსირა რესპოდენტთა 25%-მა. მათი აზრით, კორუფციის დაბალი მაჩვენებლები, დიდი ოდენობით საჯარიმო სანქციები, დანაშაულის გამოვლენის მაღალი ალბათობა და შიშის ფაქტორი, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობა, სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური საქმიანობა და ადეკვატური კანონმდებლობა გამორიცხავს ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას.

5. გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ყველაზე აქტიურად 1994–2003 წლებში მიმდინარეობდა, ხოლო მხოლოდ 22%-ის აზრით – ვარდების რევოლუციის შემდეგ. მართალია, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, სტატისტიკაზე დაყრდნობით შევაფასოთ საზოგადოებრივი აზრის სიზუსტე, ვინაიდან მხოლოდ 2005 წლიდან ხდება ფულის გათეთრების საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ სტატისტიკის წარმოება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საკანონმდებლო ცვლილებებს, სახელმწიფოს პოლიტიკას კორუფციასთან ბრძოლის

კუთხით, საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის გამკაცრებასა და სხვა გარემოებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა პოზიცია რეალურ სურათს ასახავს.

6. გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 73% მიიჩნევს, რომ ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით, საჭიროა, მიღებულ იქნას ზომები ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად. რესპოდენტთა 53% ამ მიზნით მართებულად მიიჩნევს უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებებზე მოსახლეობის მასობრივ გადაყვანას. აღნიშნული პოზიცია ჩვენ მიერ დადებითადაა შეფასებული, ვინაიდან ნაღდი ფულის ბრუნვა ფინანსური კონტროლისაგან თავის არიდების ერთ-ერთი საშუალებაა.

7. კვლევის დროს გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია – სექტორების მიხედვით პოზიციები ცალკეულ საკითხებზე გარკვეულწილად განსხვავებული იყო. საჯარო სექტორი და განსაკუთრებით სტუდენტები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ აშკარა ლოიალურობით გამოირჩეოდნენ. საბანკო, განსაკუთრებით ბიზნესსექტორი და უმუშევრები შედარებით უფრო კრიტიკულნი იყვნენ იმავე საკითხებთან მიმართებით.

მეორე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია ფულის გათეთრების ფაზები.

ტექნოლოგიურ ოპერაციას, როდესაც პირველად ხდება უკანონო აქტივის „ჩადება“ უკვე საყოველთაოდ მიღებული ტერმინი „განთავსება“ (Placement) ეწოდება. „განთავსების“ დროს უმნიშვნელოვანესი მომენტი ანონიმურობაა, ამიტომ, ბუნებრივია, უპირატესობა ენიჭება იმ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც საამისო პირობებს უკეთ უზრუნველყოფს. „განთავსების“ ფაზა ყველაზე სახიფათოა. როგორც წესი, ამ დროს არის ბევრი დოკუმენტური კვალი, რომელსაც დანაშაულებრივ ჯგუფამდე

მივყავართ. სასურველია, რაც შეიძლება მალე გადასვლა მეორე ეტაპზე, რომელსაც „დიფერენცირება“ (Layering) ეწოდება. ეს სიტყვა აღნიშნავს არალეგალური აქტივების დანაწევრებას და ანალოგიური ფორმის კანონიერ აქტივთან შერევას. ამ ფაზაში ხდება უკანონო შემოსავლის მოწყვეტა წარმოშობის წყაროსგან, ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის გზით, რომელიც მიმართულია ამ სახსრების კვალის შენიღბვისკენ. აღსანიშნავია, რომ დიფერენცირების ეტაპზე გასათეთრებელი შემოსავლები თითქმის ყოველთვის პატარა პარტიებად იყოფა და თითოეული ნაწილი თავის „ფინანსურ გზაზე“ მიდის. ეს აუცილებელია, რომ სამართალდამცავებს მაქსიმალურად გაურთულდეთ კვალის ძიება, ამიტომ უკვე საბოლოო სტადიაზე საჭიროა წინა ფაზაში დანაწევრებული აქტივების კონსოლიდირება დამკვეთისათვის (დანაშაულებრივი ჯგუფისათვის) მოსახერხებლად გამოსაყენებელ ფორმაში. ამ ფაზამ „ინტეგრაციის“ (Integration) სახელწოდება მიიღო. თუ გასათეთრებელი ფულის კვალი არ გამოვლინდა პირველ ორ სტადიაზე, კანონიერი შემოსავლის უკანონოსაგან გარჩევა შემდგომში განსაკუთრებით რთულია.

გარდა ზემოთ განხილული გათეთრების ბაზისური ტექნოლოგიის სამფაზიანი მოდელისა, ნაშრომში ასევე არის მსჯელობა გაეროს ექსპერტებისა და ცალკეულ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ ორ და ოთხფაზიანი მოდელების შესახებ. გაკეთებულია დასკვნა, რომ ლეგალიზაციის ეტაპების აღწერებში პრინციპული განსხვავება არ არის.

მეორე თავის მესამე პარაგრაფში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მექანიზმები და ბაზისური სქემები, რომელთა მეშვეობითაც თეთრდება ფული მსოფლიოსა და ქართულ ეკონომიკაში. ამ სქემების ტიპოლოგიის შეწავლა მეტად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანაა, ვინაიდან მასზე დამოკიდებული ფულის გათეთრების აღკვეთის სტრატეგიის შერჩევა.

ნაშრომში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემები, განხორციელებული საერთაშორისო საბანკო სისტემის, არასაბანკო ფინანსური ინსტრუმენტების, არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით, სახსრების ინვესტირებით უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში; საუბარია კორუმპირებული პირების როლზე ფულის გათეთრების ოპერაციებში, ასევე ოფშორული იურისდიქციების გამოყენების მოხერხებულობაზე. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ფულის გათეთრების კუთხით ლიდერობენ ის მიმართულებები, რომლებიც იძლევიან ანონიმურობის დაცვისა და დიდი ოდენობით ფულით ოპერირების შესაძლებლობას.

პარაგრაფში კონკრეტულადაა განხილული ფულის გათეთრების ის ხერხები და საშუალებები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება საქართველოს საბანკო სექტორში.

ფულის გათეთრების დეტერმინაციის ზოგად დახასიათებას ეძღვნება **მესამე თავის პირველი პარაგრაფი**. ნაშრომში მიზეზები და პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე დაჯგუფებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით – სახელმწიფო–პოლიტიკური, სამართლებრივი, საერთო სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ა.შ.

საერთო სოციალურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში განხილულია ისეთი მოვლენები, როგორიცაა: მოსახლეობის ფენების მკვეთრი პოლარიზაცია, სამართლებრივი ნიჰილიზმი და გულგრილი დამოკიდებულება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე რეაგირებისას, სამართლებრივი განათლების დონე და ა.შ.

ეკონომიკურ მიზეზებად და პირობებად მიჩნეულია ფულის გამთეთრებლების მიერ მოგების მიღების შესაძლებლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა, „საინვესტიციო შიმშილი.“ აქვე

განხილულია ცალკეულ ეკონომისტთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის არ აქვს მნიშვნელობა, ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური კაპიტალი ერთევა თუ არალეგალური, რასაც, ბუნებრივია, არ ვეთანხმებით. ერთი შეხედვით, ლეგალურ ბრუნვაში კრიმინალური კაპიტალის გამოყენებას კანონიერი მეწარმეობის განვითარების საქმეში საზოგადოებისათვის აშკარა სარგებელი მოაქვს – მუშავდება საწარმოები, საქმდება მოსახლეობა, მზადდება პროდუქცია, ბიუჯეტში ირიცხება გადასახადები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლეგალურ ბრუნვაში ჩართული და „სახეცვლილი“ ფული არც თუ იშვიათად რეინვესტირდება ისევ კრიმინალურ საქმიანობაში, სამეწარმეო სფეროში ამკვიდრებს დანაშაულებრივი სამყაროს წეს-ჩვეულებებს, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს გზას უხსნის დიდი პოლიტიკისკენ, ეს ყველაფერი კი იწვევს საზოგადოების დამაბვას, სუფთა ბიზნესის წარმოების მომხიბვლელობის დაქვეითებას, ბაზრის კანონმორჩილი სუბიექტების ინვესტიციების გადინებას და, როგორც წესი, შედეგად ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი.

სახელმწიფო–პოლიტიკურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში განიხილება პოლიტიკური ნების არარსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას; ზოგ შემთხვევაში ხელისუფლების უსუსურობა, საკანონმდებლო ხარვეზები, კორუფცია და სხვ.

ნაშრომში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ ფაქტორად ასევე მიჩნეულია გასული საუკუნის 70–80–იანი წლებიდან განხორციელებული ტექნოლოგიური პროგრესი, რამაც ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია, სახსრების მსოფლიოს ერთი წერტილიდან მეორეში წამიერი გადატანის შესაძლებლობა შექმნა და თავისთავად განაპირობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდა.

სპეციალური ხასიათის დეტერმინანტებს შორის, რომლებიც ეხება უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროს, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განხილულია ფულის გათეთრების პროცესის ე.წ. „მზარდი პროფესიონალიზაცია“ და ინტერნაციონალიზაცია.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები კონკრეტულად საქართველოსთვის. ნათქვამია, რომ ჩვენი ქვეყნის რეალობაში ზემოთ განხილული ფაქტორების უმეტესობაა წარმოდგენილი, სხვადასხვა მოცულობით.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული სოციალურ–ზნეობრივ და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორებზე. ასევე, მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობასა და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბებზე.

პარაგრაფში საუბარია ცალკეულ საკანონმდებლო ხარვეზებზე, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საბანკო პროდუქტებზე, ხაზგასმულია, ასევე ის ტენდენცია, რომ დღესდღეობით განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ოფშორული კომპანიები და შემოთავაზებულია ფაქტორთა კომპლექსი, რომელიც საქართველოში ოფშორული ბიზნესის განვითარებას იწვევს: მაღალი გადასახადები და ნაკლებეფექტური ფისკალური პოლიტიკა, საინვესტიციო რისკები და ოფშორული სქემების გამოყენება საქართველოში საინვესტიციო ობიექტების ფლობის ფაქტის დასაფარად.

პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ნადდი ფულის ბრუნვა, წარმოადგენს ერთ–ერთ ყველაზე სუსტ წერტილს ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ 90–იანი წლების საქართველოში არ არსებობდა არც პოლიტიკური ნება და არც შესაბამისი რესურსები

ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ხელისუფლებამ აქტიური ბრძოლა გააჩაღა კანონიერი ქურდების, ორგანიზებული დანაშაულობის, და კორუფციის წინააღმდეგ, შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფულის გათეთრების აღმკვეთი კანონმდებლობა, ზედამხედველი ორგანოების მწყობრი სისტემა, რაც დადებითი პროგნოზების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

დისერტაციის **მეოთხე თავი** მოიცავს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებს.

მეოთხე თავის პირველი პრაგრაფი დათმობილი აქვს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს. პირველ საკითხად განხილულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა; დადებით ფაქტადაა მიჩნეული წევრ-სახელმწიფოთა შესაფასებლად სპეციალური ორგანოს – ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) შექმნის ფაქტი.

მეორე საკითხად პარაგრაფში განხილულია ყველა ის საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება, რეკომენდაცია და სტანდარტი, რომლებიც ეხება სადისერტაციო ნაშრომის თემას.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ მთლიანობაში ნაშრომში განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა და შემუშავებული ინიციატივები მიუთითებს აუცილებლობაზე, ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით შეიქმნას ეფექტური, მწყობრი, მაქსიმალურად უნიფიცირებული სისტემა ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და მისი ფინანსური საქმიანობის აღსაკვეთად. ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივებიც კი ვერ იქნება ქმედითი, თუ ერთი სახელმწიფო ან

ტერიტორიაც კი შესთავაზებს პირობებს უსაფრთხო საქმიანობისათვის დანაშაულებრივ ჯგუფებს.

პარაგრაფის მეორე საკითხი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკას. კონკრეტულადაა განხილული აშშ-ს, ევროკავშირის, აზიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, ოფშორული იურისდიქციების, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების ფულის გათეთრების აღკვეთის ხერხები და მეთოდები. დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მიმართულებით ბოლო წლებში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები. ფაქტობრივად, ეს არის მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური მაგალითი, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, განსხვავებული ინსტიტუციური საფუძვლებისა და ეკონომიკური განვითარების ქვეყნების მიერ, ერთიანი გეგმისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რთული და საკმაოდ ეფექტური სისტემების პარალელურად შექმნის.

მეოთხე თავის მეორე პარაგრაფის პირველი საკითხი მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სუბიექტების ორგანიზაციული ასპექტების შესწავლას. განხილულია საქართველოში სპეციალურად ფულის გათეთრების აღკვეთის მიზნით შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე ის სტრუქტურები, რომელთათვისაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. აქვე მოცემულია ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) შეფასებები, საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მდგომარეობასა და ამ კუთხით ზემოაღნიშნული სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ.

პარაგრაფის მეორე საკითხი ეხება საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის ანალიზს, შესაბამისად, განხილულია სსკ 194-ე და 194¹ მუხლები, მოცემულია ჩვენი შეხედულებები დანაშაულის ამსრულებლის, ხელყოფის ობიექტის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულობების ძირითად სამართალდარღვევად განხილვის საკითხის მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე, შეფასებულია სსკ 194-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების დეფინიციები. აქვე, პროგრესულ და საჭირო პრევენციულ ინსტრუმენტადაა მიჩნეული სსკ 194¹ მუხლი, თუმცა აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ მომხდარა ამ მუხლზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანა.

პარაგრაფში ასევე განხილულია საკანონმდებლო სიახლე, რომლითაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 124¹ მუხლი „საბანკო ანგარიშების მონიტორინგის“ შესახებ. ამ ნოვაციის ინიციატორთა პოზიციის თანახმად, 124¹ მუხლით შემოდის ახალი რეგულაცია ფულის გათეთრების წინააღმდეგ. ეს არ არის პრევენციული ან ოპერატიული ღონისძიება, ეს არის საგამომიებო მოქმედება და მისი გამოყენება მხოლოდ გამომიების დაწყების შემდეგ შეიძლება.

ამ სიახლესთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ეს ბუნებრივიცაა. ერთი მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების მცდელობის გამოვლენა და მისი აღკვეთა ადრეულ ეტაპზე მანამ, სანამ გარიგება განხორციელდება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს უკანონო შემოსავლის კონფისკაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მეორე მხრივ, საგამომიებო მოქმედება ღიად ტარდება, აქვს კანონით დადგენილი საპროცესო ფორმა და ფიქსაციის სავალდებულობა, რაც

უმნიშვნელოვანესი გარანტიის ფუნქციას ასრულებს, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მუხლის შემოთავაზებულ რედაქციაში არ არის გათვალისწინებული მეორე მხარის უფლებები და თავისუფლებები, რადგან დაცვის მხარეს ამ მოქმედების შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება. კითხვებს ტოვებს ასევე მუხლის რედაქციაც: მითითებულია, რომ „საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში ინფორმაცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე,“ თუმცა, გაურკვეველია ბანკი შეტყობინებას დროის რა მონაკვეთით, ან უნდა დაელოდოს თუ არა საერთოდ.

პარაგრაფში ასევე განხილულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წელს. აღნიშნულია, რომ მთლიანობაში კანონი საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია ფულის გათეთრების აღსაკვეთად, მაგრამ მაინც არის ცალკეული ნაკლოვანებები, რაც ეფექტურად შეიძლება გამოიყენონ ფულის გამთეთრებლებმა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშრისო სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით, კანონმდებლობაში შევიდა მრავალი პროგრესული და აუცილებელი ცვლილება, რის გამოც საქართველომ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) დადებითი შეფასება დაიმსახურა.

პარაგრაფის მესამე ნაწილში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის საერთო–სოციალურ და სპეციალურ–კრიმინოლოგიურ საშუალებებზე, მათ შორის: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ღონისძიებებზე.

დასკვნა–რეკომენდაციები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების მიზნით ჩატარებული სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კვლევა იძლევა თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას.

1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა არის უმნიშვნელოვანესი საშუალება ორგანიზებული დანაშაულობის ყველა სფეროში კონტროლის განსახორციელებლად. ფულის გათეთრების პრობლემის წარმოქმნა პირდაპირაა დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირებასთან. ლეგალიზაციის მეშვეობით უკანონო სახსრებს რესპექტაბელური სახე ეძლევა, რათა შემდგომ ისინი ჩაიდოს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებში. სწორედ ამიტომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის ყველა განვითარებული სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულობის აღკვეთის ერთ–ერთ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევა.

2. სამართალდამცავთათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია კრიმინალური ეკონომიკური ციკლის ყველაზე სუსტი წერტილია, თუმცა, ფულის გათეთრების პროცესზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს არალეგალური ოპერაციების მასშტაბები, სახესხვაობა და სხვა მახასიათებლები. ამგვარად, მოცემული საქმიანობა ეკონომიკურ დანაშაულთა ეფექტურ გამოძიებასთან ერთად სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ უკანონო სახსრების კონფისკაცია, ეს რისკფაქტორი კი შემაკავებელ გავლენას ახდენს ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის სტრუქტურის განსაზღვრისას მიზანშეწონილია ეს პროცესი სამი ძირითადი სტადიის სახით წარმოვიდგინოთ: პირველი სტადია – უკანონოდ

მიღებული შემოსავლის გადატანა ფიქტიური მფლობელის მფარველობაში იმ მიზნით, რომ დაიმალოს მათი წარმომავლობა და დაცულ იქნეს რეალური ბენეფიციარის ანონიმურობა. მეორე სტადია – ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის გზით უკანონო შემოსავლის მოწყვეტა წარმოშობის წყაროსგან, დანაწევრება და იმავე ფორმის სხვა აქტივთან შერწყმა. მესამე სტადია – უკანონო შემოსავლის ინტეგრირება ლეგალურ ეკონომიკაში.

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესწავლა მისი დეფინიციის განსაზღვრის საშუალებას იძლევა: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) არის უკანონო გზით მიღებული (მოპოვებული/შეძენილი) ქონების წარმოშობის (ნამდვილი) წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი კანონიერ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის (შეტანის) გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების (მოპოვება/შეძენის) ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა.“

5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეფექტური აღკვეთისათვის აუცილებელია, ჩავწვდეთ იმ ძირითადი ფაქტორების – ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების არსს, რომლებიც გავლენას ახდენს ამ პროცესზე. განსახილველ გარემოზე ზემოქმედების ხარისხით ეს ფაქტორები მიზანშეწონილია, გავყოთ ზოგად და სპეციალური ხასიათის ფაქტორებად. ზოგადი ხასიათის ფაქტორებში აუცილებელია ყურადღება მიექცეს შემდეგ მოვლენებსა და პროცესებს: მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონეს, „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბებს, დანაშაულებრივი ინდუსტრიის განვითარებას, პოლიტიკურ ნებას და სხვ. სპეციალურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფულის გათეთრების პროცესზე, შეიძლება მივაკუთვნოთ: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის „მზარდი პროფესიონალიზაცია“ და

ინტერნაციონალიზაცია; სახელმწიფო და საფინანსო სექტორის ცალკეულ პირთა კორუმპირებულობა; სამართალდამცავი ორგანოების სუსტი პოტენციალი, წინ აღუდგნენ ეკონომიკურ დანაშაულებს; სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისი თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე; ნაღდი ფულის ბრუნვა; ფულადი სახსრებით თუ სხვა ქონებით ოპერაციების წარმოების სამართლებრივი რეგულირების წესების უზუსტობანი, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზები და სხვ.

6. ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლებელია დავადგინოთ ის ზოგადი წესები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას:

- რაც უფრო ზუსტადაა იმიტირებული ფულის გათეთრების მექანიზმით კანონიერი გარიგება, მით უფრო ნაკლებია მისი გამოვლენის რისკი;
- რაც უფრო ნაკლებია უკანონო სახსრების ხვედრითი წილი ლეგალურ ფინანსურ ნაკადში, მით უფრო რთულია მისი აღმოჩენა;
- რაც უფრო მაღალია გარიგებების საკანონმდებლო და ფინანსური თვითრეგულირების დონე, მით უფრო რთულია არალეგალური ფინანსური ნაკადის გამოაშკარავება;
- უკანონო ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად რაც უფრო ნაკლებია უნაღდო ანგარიშსწორების ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა, მით უფრო რთულია ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენა;
- რაც უფრო მეტი წინააღმდეგობაა ფინანსური ბაზრების გლობალურ ხასიათსა და მათ სახელმწიფო რეგულირებას შორის, მით უფრო რთულია ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენა;

- უკანონო საქმიანობა რაც უფრო ღრმად აღწევს ლეგალურ ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა მისი ინსტიტუციური და ფუნქციური დაყოფისათვის.

7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისადმი კომპლექსური მიდგომა მოიცავს ფინანსურ ოპერაციებსა და სხვადასხვა სახის ქონებით წარმოებულ გარიგებებზე საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ურთიერთდაკავშირებულ პროცედურებს, კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტებზე, ასევე სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების მექანიზმს.

8. მოვლენის სირთულე, რომლის აღკვეთაც უნდა მოხდეს, განსაზღვრავს მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის სირთულეს. ვინაიდან ფულის გათეთრება მეტად რთული, მრავალსაპექტიანი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დამნაშავეების კოორდინირებულ საქმიანობასთან, მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია, არსებობდეს კიდევ უფრო რთული, მრავალდარგოვანი, მაგრამ მართვის თვალსაზრისით ერთიანი ეფექტური სისტემა.

9. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სისტემის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოვლენის მასშტაბებს. ბუნებრივია, ათეულობით მილიარდი დოლარის გათეთრების აღკვეთას იაფფასიანი სისტემა ვერ შეძლებს, ამდენად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები უზრუნველყოფილ იქნან შესაბამისი ფინანსური სახსრებით.

10. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემის უმნიშვნელოვანესი

ინსტრუმენტი უნდა იყოს მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი მონაცემთა ბანკი, რომელიც შესაძლებელს გახდის დანაშაულებრივი და საექვო კავშირების გამოვლენას „ღრმა სტატისტიკის“ პროგრამების მეშვეობით.

11. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისგან იზოლირებულად შეუძლებელია. კორუმპირებული ჩინოვნიკები, ერთი მხრივ, ფულის გათეთრების „მომსახურების“ ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან, მეორე მხრივ, პრაქტიკულად ლეგალიზაციის ყველა მექანიზმში გამოიყენება კორუფციული კავშირები. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომელშიც კომპლექსურად იქნება განხილული კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები.

12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში. ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს ლიბერალური ეკონომიკური კურსი, და, ამავდროულად, აუცილებელია გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმები სხვადასხვა სფეროში კანონმდებლობის დაცვაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში გადამწყვეტია სახელმწიფოს პოლიტიკური ნება. ფულის გათეთრება დანაშაულის ის სახეობაა, რომელსაც უმეტესად სწორედ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სჩადიან, შესაბამისად, მხოლოდ მიზანმიმართული და მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი ამ დანაშაულის აღმოფხვრა სახელისუფლებო წრეებში. აქვე აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ბიზნესსექტორისა და, ზოგადად, მოსახლეობის ნდობის ამაღლება ხელისუფლების მიმართ. ხშირად პირს, რომელსაც სავსებით კანონიერად აქვს სახსრები მოპოვებული, არ სურს, საბანკო ოპერაციებისა თუ სხვა სახის გარიგებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სახელმწიფო სტრუქტურებს. ამ იდეოლოგიის შესაცვლელად

აუცილებელია ზომების მიღება. საზოგადოებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ფულის გათეთრების შესახებ კანონმდებლობის ერთადერთი მიზანი დანაშაულობის აღკვეთაა.

13. აუცილებელია სპეციალური პროგრამების შემუშავება და ჩვენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. პროგრამა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობისათვის იმ საკანონმდებლო ბაზის გაცნობისაკენ, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ სფეროს და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საკითხებს. საზოგადოებამ კონკრეტულად უნდა იცოდეს, თუ რა საფრთხე ქმნის ფულის გათეთრება და ერკვეოდეს ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისას შესაბამისი წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგებში. აღნიშნული ზომის მიღება მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოხდეს მოქალაქეთა გამოყენება ფიქტიურ პირთა სახით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების განხორციელებისას.

14. საქართველო აქტიურად გამოიყენება უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის. საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ქვეყანაში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციების წარმომავლობის კანონიერების დადგენა. ამ შეხედულებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ფულის გათეთრების საქმეებში ხშირ შემთხვევაში ძირითადი დანაშაული საზღვარგარეთ არის ჩადენილი.

15. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბების შემცირების მიზნით, აუცილებელია სპეციალური პროგრამით ზემოქმედება იმ ფაქტორებზე, რომლებიც მისი არსებობის პროვოცირებას იწვევენ. საჭიროა მდგომარეობის ადეკვატური საგადასახადო კანონმდებლობის ამოქმედება, ეკონომიკურად დასაბუთებული და სამართლიანი მოსაკრებლების არსებობა, რაც შეამცირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას, ხოლო საწარმოების საქმიანობას გახდის გამჭვირვალეს. ასევე აუცილებელია,

ზედამხედველობის გაძლიერება საბანკო სექტორზე, რათა აღიკვეთოს „შავი ბუღალტერიის“ გათვალისწინება კრედიტების გაცემისას. ეს კი დღემდე ნორმად მიიჩნევა.

16. ფულის გათეთრების აღკვეთის კუთხით, ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ სამეურნეო ბრუნვის უდიდესი ნაწილი საქართველოში ნაღდი ფულით ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ ფულის განადღება ლეგალიზაციის ერთგვარ ინსტრუმენტად მიიჩნევა. თუ განვითარებულ ქვეყნებში ფულის გათეთრების პროცესის დასასრული კარგი რეპუტაციის მქონე ბანკში ანგარიშის ქონაა, საქართველოში საკმარისია, უკანონოდ მიღებული სახსრები ნაღდ ფორმაში იქნას გადატანილი. დასავლური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში არ ხდება უძრავი ქონებისა თუ საწარმოს შეძენისას ფულის წარმოშობის შესახებ კითხვის დასმა. გარიგებები, ძირითადად, უცხოური ვალუტით ხორციელდება და ფაქტობრივად არავინ იცის თანხის რეალური ოდენობა. დოკუმენტურად ფორმდება მხოლოდ თანხის ნაწილი, ხოლო დანარჩენის გადახდა ნაღდი ფორმით ხდება. დიდი ოდენობით ნაღდი ფული საქართველოში ნორმად აღიქმება, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს უკანონო წარმომავლობის ნიშანია. ნაღდი ფული ემსახურება ჩრდილოვან ეკონომიკას, ხოლო ამ უკანასკნელის ზრდა ნაღდი ფულის ბრუნვის სტიმულირებას ახდენს და, პირიქით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროს, როგორც ფინანსური კონტროლისაგან თავის არიდების ერთ-ერთი ფაქტორის შევიწროება (მაგალითად, უძრავი ქონების შეძენისას ანგარიშსწორების საბანკო ანგარიშით განხორციელების სავალდებულოობა). ასევე აუცილებელია, შემოსავლების დეკლარირების ვალდებულების დაწესება მსხვილი ქონებრივი კომპლექსის, უძრავი ქონების შეძენის ან პრივატიზაციისას.

17. იმისთვის, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ღონისძიებები ქმედითი იყოს, მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები გავრცელდება. თანამედროვე მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო ინსტიტუტებს ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების დიდი რისკი ახასიათებთ. ამასთან, საფინანსო ინსტიტუტების ცნება გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, ფასიანი ქაღალდების ბროკერებისა ბევრად უფრო ფართოა და მრავალ ისეთ ინსტიტუტს მოიცავს, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგალითად: კოლექტიური საინვესტიციო დაწესებულებები, საფინანსო სალიზინგო კომპანიები და მრავალი სხვა ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანი ფინანსური მომსახურებაა. კანონის ამგვარი ვაკუუმი გასაგებიცაა, საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების დონე არ შეესაბამება ევროპისას და კანონი, შესაბამისად, არ მოიცავს ბაზრის არარსებულ სუბიექტებს, თუმცა ახლო მომავალში გამორიცხული არ არის, ასეთი ახალი სუბიექტების გამოჩენა, ხოლო კანონში არსებულმა ვაკუუმმა ისინი შესაძლოა, ფულის გამთეთრებლების „თავშესაფრად“ აქციოს, ამიტომაც აუცილებელია, კანონმდებლის უწყვეტი ყურადღება ბაზრის ახალ სუბიექტებზე.

18. ფულის გათეთრების უკვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დამნაშავეები, ფინანსური კონსულტაციისთვის – თუ როგორ შენიღბონ უკანონო შემოსავლები – როგორც წესი, აუდიტორებს, დამოუკიდებელ ბუღალტრებს, საგადასახადო კონსულტანტებს და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელ პირებს მიმართავენ. ამდენად, ამ სახის კონსულტანტები ფულის გათეთრების რთული სქემების აუცილებელი ელემენტები არიან. შესაძლოა, საქართველოში დღევანდელ ეტაპზე აღნიშნული პროფესიული საქმიანობა ფულის გათეთრების კუთხით მაღალი რისკის მატარებელი არ იყოს, მაგრამ,

თუ გავითვალისწინებთ ბაზრის სწრაფ განვითარებას, ეს პრობლემა შესაძლოა, სულ მალე დადგეს დღის წესრიგში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ევროსაბჭოს მიერ მიღებული და ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტად მიჩნეული ევროდირექტივის (91/308/EEC) მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს დაემატოს აუდიტორები, დამოუკიდებელი ბუღალტრები, საგადასახადო კონსულტანტები და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, როდესაც ეს უკანასკნელნი კონსულტაციას გაუწევენ კლიენტებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- უძრავი ქონების ან სამეწარმეო საზოგადოების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით;
- კლიენტის ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვასთან დაკავშირებით;
- საბანკო ანგარიშების გახსნასა და მართვასთან დაკავშირებით;
- კომპანიის დაფუძნებასთან, ასევე ფუნქციონირებისა და მართვისთვის აუცილებელი შენატანების ორგანიზებასთან დაკავშირებით;

პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე საგადასახადო კონსულტანტები, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, აუდიტორები და გარე (დამოუკიდებელი) ბუღალტრები შეიძლება გათავისუფლდნენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისაგან, რომელიც მათ მიიღეს კლიენტისაგან ან კლიენტის შესახებ მისი წარმომადგენლობის უფლების განხორციელებისას სასამართლო წარმოებაში ან წარმოებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათთვის ცნობილია, რომ მათი მომსახურება ფულის გათეთრების მიზნებს ემსახურება.

19. საფინანსო სექტორის სწრაფი განვითარება, რასაც თან ერთვის მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი, საშუალებას აძლევს მათ, მომხმარებლებს გაუწიონ მომსახურება ფიზიკური დასწრების გარეშე, მაგალითად: ინტერნეტის, ბანკომატის, სატელეფონო საბანკო მომსახურების, სწრაფი გადახდის აპარატებისა და სხვა საშუალებით. აღნიშნული სახის სერვისები სულ უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იძენს და, ვინაიდან ასეთ ოპერაციებს სისწრაფე, ნებისმიერი ადგილიდან ხელმისაწვდომობა და ნაკლები გამჭვირვალობა ახასიათებთ, ეს ფულის გათეთრების მეტად ხელსაყრელ საშუალებად შეიძლება იქცეს. ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა არ ჩამორჩეს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზების ტემპს. ასეთი ტიპის გარიგებებთან მიმართებით, აუცილებელია სპეციალური ადეკვატური ზომების მიღება მათთან დაკავშირებული ფულის გათეთრების მაღალი რისკის თავიდან ასაცილებლად.

20. FATF-ის რეკომენდაციების თანახმად, არარეზიდენტი „პოლიტიკურად აქტიური პირების,“ მათ ოჯახის წევრებისა და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ სავალდებულოა, ამოქმედდეს იდენტიფიკაციის გამლიერებული მექანიზმები (სახსრების წარმომავლობის დადგენა, ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი), რაც დღეის მდგომარეობით ასახულია ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სტანდარტის გაცვლევა საქართველოს მოქალაქე პოლიტიკურად აქტიური პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართაც.

21. ფულის გათეთრების აღმკვეთი შესაბამისი ნორმატიული აქტებით სავალდებულოა ბანკების მიერ კლიენტების სახსრების წარმომავლობისა და ბენეფიციარების დადგენა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან კანონმდებლობაში არ არის გაწერილი

კონკრეტული ღონისძიებები და კანონმდებელი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, საბანკო სექტორის მიერ ამ დებულებების დაცვა მხოლოდ ფორმალურად ხდება. აღნიშნული განპირობებულია ბანკების მძაფრი კონკურენციით. ბუნებრივია, კლიენტი საქმიან ურთიერთობას ამყარებს იმ ბანკთან, რომელსაც ნაკლები მოთხოვნა აქვს ამ თვალსაზრისით. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს კონკრეტული ზომები, რათა ყველა საფინანსო დაწესებულებისთვის იყოს ერთიანი სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც რეალურად განხორციელდება პრინციპი – „იცნობდე შენს კლიენტს.“

22. ნაღდი ფულადი სახსრების კონტროლის მიზნით, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ზომად მიგვაჩნია 30 000 ლარს ზემოთ დეპოზიტის განთავსება მიეკუთვნოს ავტომატურ რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას. დღემდე ეს დებულება არ აისახა კანონში იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია, ამ მიზეზით შემცირდეს საბანკო სისტემაში ნაღდი ფულადი რესურსის შედინება. თუმცა ვფიქრობთ, რომ, როდესაც კლიენტი წარადგენს დიდი ოდენობით ნაღდ ფულს, იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად არ ხდება სახსრების წარმომავლობის დადგენა, აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის.

23. ეროვნული ბანკის ნორმატივების მიხედვით, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია სავალუტო გადარიცხვის განხორციელება გარიგების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების (ხელშეკრულება, ინვოისი) წარმოდგენის გარეშე (თუ თანხა აღემატება 30 000 ლარს), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტების რეალურობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ხშირად კლიენტს თავად აქვს საზღვარგარეთელი ბიზნესპარტნიორის ბეჭედი და ინვოისის დამოწმებასაც თავადვე ახდენს, რაც,

ბუნებრივია, იწვევს დასაბუთებულ ეჭვს, რომ კლიენტსაც და კონტრაგენტსაც ერთი ბენეფიციარი ჰყავთ და ეს გარიგებები მხოლოდ ფიქტიურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს მექანიზმები ფიქტიური გარიგებების საფუძველზე ანგარიშსწორების წარმოების აღსაკვეთად.

24. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტურია მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის. ჩვენი კანონმდებლობით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ანგარიშგების ფორმებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აწვდიან ოპერაციის საექვოობის დადგენიდან სამი დღის ვადაში, ხოლო „ზღვარს ზემოთ“ ოპერაციების განხორციელებისას – ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან ხუთი დღის ვადაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ვადების მაქსიმალურად შემცირება როგორც ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის, ასევე შესაბამისი უკანონო სახსრების კონფისკაციის მიზნით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის აუცილებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა ბანკებში.

25. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის მიზნით, აუცილებელია ფინანსური და სამართალდამცავი ორგანოების კონტროლის გაძლიერება შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებზე: ვაჭრობა (ისეთი პროდუქციით, რომლის ღირებულებასაც აქვს ცვლილების დიდი დიაპაზონი), მიკრო–საფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სამშენებლო ორგანიზაციები, სათამაშო ბიზნესი.

26. შესაბამისი სტრუქტურების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია ორიენტაცია იმ ძირითად ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებსაც იყენებენ დამნაშავეები: საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციაში ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება და შემდგომ ოპერაციების წარმოება; სახსრების დანაწევრების ტექნოლოგია, კვალის არევის მეთოდი, ოფშორული პარტნიორების აქტიურად გამოყენება; ფიქტიური კონტრაქტების საფუძველზე უცხოურ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წარმოება და სხვ.

27. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ: ფინანსურ ანგარიშგებებში აშკარა სხვაობის არსებობას ანალოგიური პროფილის სხვა ფირმების შესაბამისი დოკუმენტების მონაცემებთან; გადარიცხვების თანხების შეუსაბამობას კლიენტის საქმიანობის ხასიათთან, ან შეთავაზებული მომსახურების სახეობის სპეციფიკასთან; ფულის პირველადი წყაროს დაფარვის მცდელობას რთული მრავალმხრივი ოპერაციების წარმოების გზით.

28. ევროდირექტივის შესაბამისად, კანონით უნდა დაწესდეს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრაქტიკისა და საეჭვო გარიგებების გამოვლენის მექანიზმების შესახებ უახლესი ინფორმაციის ხემისაწვდომობა. შესაბამისად, აუცილებელია, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის სისტემატური სწავლება-სემინარების ორგანიზება, რათა ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას ფულის გათეთრების ახალი ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

29. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამართალდამცავ და შესაბამის სახელმწიფო-საფინანსო კონტროლის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ვინაიდან ფულის გათეთრების აღკვეთისათვის საჭიროა სპეციალისტები უმაღლესი კვალიფიკაციით.

30. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტიპოლოგიური ხერხებისა და მეთოდების კვლევაზე. აღნიშნული შესაძლებელს გახდის ფული გათეთრების როგორც ახალი, ასევე უკვე ცნობილი მეთოდების გამოვლენას. ტიპოლოგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს ფინანსური გამოძიების, ასევე სისხლის სამართლის საქმეების მასალების ანალიზის შედეგად. შემუშავებული ტიპოლოგია დაეხმარება სამართალდამცავ და ზედამხედველ ორგანოებს, საქართველოს ფინანსური მონიტორინგისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების პასუხისმგებელ თანამშრომლებს.

31. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური ჯგუფის შექმა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში. ჯგუფი შესაძლოა შეიქმნას მთავარ პროკურატურასთან და მასში უნდა შედიოდნენ იმ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ საფინანსო-ეკონომიკურ კონტროლსა და სამართალდამცავ საქმიანობას განხილულ სფეროში.

32. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, გრძელვადიანი პოლიტიკის სახით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზება, ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ქვეყნის

წინაშე მდგარი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების სახით საერთაშორისო ტერორიზმთან, კონტრაბანდასა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებთან ერთად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხილვა.

გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი (სამეცნიერო რედაქტორი გ. ლლონტი). 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი.
2. ავტორთა კოლექტივი (რედაქტორი გ. ლლონტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ო. გამყრელიძე) 2011. *კორუფცია საქართველოში – კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი*. თბილისი.
3. ბაძაღვა მ., 1998. *ჯგუფური დანაშაულობა*. თბილისი.
4. ოთინაშვილი რ., 2002. *ჩრდილოვანი ეკონომიკა*. თბილისი: სახ. უშიშროების აკადემიის გამომცემლობა.
5. ლლონტი გ., მოსულიშვილი მ., დაუთაშვილი პ., 2009. *კორუფცია*. თბილისი.
6. შელი ლ., ალასანია გ., ლორია ე., ლატა ა., კაკოიაშვილი ი., 2006. *ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში*. თბილისი.
7. წულაია ზ., 2003. *კრიმინოლოგია – ზოგადი ნაწილი*. თბილისი: ინტელექტი.
8. ჯანაშია ჯ., 2002. *XXI საუკუნის გამოწვევა*. თბილისი: ინტელექტი.
9. Ackermann J.B. 2003. *Money Laundering*. Zurich.
10. Bartlett B.L. 2004. *The Negative Effects of Money Laundering on Economic Development*, Manila.

11. Kochan N. 2011. *The Washing Machine: How Money Laundering and Terrorists Financing Soils US.*
12. Madinger J. 2011. *Money Laundering: A Guide for Criminal Investigators.* Third Edition.
13. Turner J.E. 2011. *Money Laundering Prevention: Deterring, Detecting and Resolving Financial Fraud.*
14. Киселев И.А. 2009. *Грязные деньги.* Москва: Юриспуденция.
15. Мельников В.Н., Мовсеян А.Г. 2007. *Противодействие легализации отмывания незаконных доходов.* Москва.
16. Bernasconi P. 1999. Good offices to bad Governance; towards international rules against the abuse of offshore companies. *Journal of money laundering control*, #2 p. 120-127.
17. Blum J.A., Levi M., Naylor T., Williams P. 2004. Financial Havens, Banking Secrecy and Money Laundering. *UNDCO Technical Series*, issue 8, p. 38-111.
18. European Bank for Reconstruction and Development. 2008. EBRD REGIONAL AML TRAINING SEMINAR. Tbilisi, Georgia.
19. საქართველო. პარლამენტი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი, 2003 წლის 6 ივნისი #2391
20. საქართველო. პარლამენტი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი #2287
21. საქართველო. პარლამენტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი #1772
22. საქართველო. ფინანსური მონიტორინგის სამსახური. 2004. უფროსის #95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება.“

23. ბაზელის დეკლარაცია. 1988. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
24. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (ვენის) კონვენცია. 1988. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов. 2009 г. ИНФРА-М, Москва.
25. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია „ტრანსნაციონალური დანაშაულობის წინააღმდეგ“ (პალერმოს კონვენცია). 15.11.2000. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
26. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. 31.10.2003. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
27. ევროპის საბჭო. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ (სტრასბურგის) კონვენცია. 08.11.1990. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
28. ევროპის საბჭო. დირექტივა #91/308/ЕЕС საფინანსო სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ. 10.06.1991. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
29. ვოლფსბერგის პრინციპები. 2000, 2002. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмытием

преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва

30. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ 40+9 FATF-ის რეკომენდაციები (1990, 1996, 2003) Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.

გამოქვეყნებული შრომები

1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგიერთი აქტუალური საკითხი საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი,“ #1(5) 2010წ. (გვ.47) სტატიაში განხილულია ის ცალკეული მიზეზები და პირობები, რამაც ხელი შეუწყო ფულის გათეთრების მოთხოვნის წარმოქმნას და ქმედების კრიმინალიზაციას. ნაშრომში შედარებულია სხვადასხვა ქვეყნის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ნაკლებეფექტურობის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, რომ საკითხი არ არის სათანადოდ შესწავლილი კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.
2. „ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა“ – საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი,“ #2(40) 2011წ. (გვ.153). სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. გაანალიზებულია, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი

კანონმდებლობა, ასევე შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების სისტემა. მსოფლიო პრაქტიკის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ნაციონალურ დონეზე ფულის გათეთრების აღმკვეთი სისტემის ეფექტურობის ასამაღლებლად.

3. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში.“ მიღებულია გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „ინტელექტი,“ რომელიც გამოიცემა 2011 წლის დეკემბრის 3(41) ნომერში. ნაშრომში განხილულია ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში, გაანალიზებული სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის რედაქციაში განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებული დანაშაულის ამსრულებებლთან, სასჯელის ზომებთან, საუბარია, ასევე დანაშაულის ხელყოფის ობიექტზე, მოცემულია ცალკეული რეკომენდაციები. სტატიაში ასევე განხილულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხაზგასმულია ის ხარვეზები და ნაკლოვანებები რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფულის გათეთრების მიზნებისათვის. დასკვნის სახით შეფასებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის კუთხით გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა.

4. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი.“ მიღებულია გამოსაქვეყნებლად გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „აკადემიური მაცნე,“ რომელიც გამოიცემა 2012 წლის იანვარში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის მიზნით სტატიაში გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ამ სოციალურ მოვლენაზე. მიზეზები და პირობები დაჯგუფებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით – საერთო-სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო-

პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და ა.შ. შემოთავაზებული კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა კომპლექსურად იქნას ნაჩვენები ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს შესასწავლ სფეროში და ამასთან მათი ანალიზიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების ზოგადსოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები.

5. „Банковское правонарушение, как основание юридической ответственности“ – Вестник Московского университета МВД России, #9 2008 г. (ст.147) (თანაავტორობით). სტატიაში საუბარია საბანკო სამართალდარღვევებზე, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველზე. აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე და ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მექანიზმია. განხილულია საბანკო სამართალდარღვევებისათვის საჯარო სანქციების დაწესების მიზნაშეწონილობის საკითხი, შემუშავებულია ცალკეული დასკვნები.

Grigol Robakidze University

Copyright protected

Sophio Asanidze

Criminological Characteristics of the Illegal Income Legalization (Money
Laundering)

Specialty: Criminology;
Criminal Law.

The thesis is presented to obtain academic degree of Doctor of Law

RESUME

Tbilisi
2011

Grigol Robakidze University

Scientific adviser:

Malkhaz Badzagua

Doctor of Law, Professor

Official evaluators:

Jemal Gakhokidze

Doctor of Law and Politics, Professor

Tamar Ebralidze

Doctor of Law, Professor

Teimuraz Beridze

Doctor of Economics, Professor

Defending of thesis will be held on -----

At the Session of Attestation and Expert Committee and the Board of
Dissertation of the Law School of Grigol Robakidze University.

Thesis is available for learnenig in the library of Grigol Robakidze University (#6
Jano Bagrationi str., Tbilisi).

Thesis was sent on ----- 2011

Education Secretary of Dissertation Board of the School of Law of Grigol
Robakidze University:

----- Tamar Glonti

Table of Contents

1. General Characterization of work -----	50
2. Contents of work -----	58
3. Conclusion and recommendations -----	70
4. Applied Literature -----	81
5. Published works -----	84

General Characterization of work

Relevance of the research. The entire world over the problem of the money laundering suppression has become relevant starting from 80-90s of the past century. Scientifically the process of rendering the legal form to the illegal income became known as legalization of the illegal income or as money laundering.

December 19, 1988 in Vienna UN Drug Convention “About combating illegal trafficking of narcotic drugs and psychotropic substances” was ratified, which assured the countries - members of the World Community in necessity of reviewing the strategy of combating the crime and setting the progressive problem of money laundering as the independent direction. The indicated convention fomented development of many international organizations for suppression of legalization of the illegal income and drawing the relevant international documents.

Researching of the process of establishment of the money laundering suppression institutes has shown that in global scope they have been established and developed simultaneously with formation of the legal basis for suppression of international illegal trafficking of drugs, organized crime, suppression of corruption and terrorism. Criminalization of the illegal income legalization as the independent crime was also closely related to the above mentioned anti-societal occurrences.

Money laundering is not a new phenomenon. Criminals have always been trying to hide the true source of their income, though, if previously this problem was considered as the problem of the domestic legal space only, now it has gained international significance.

Money laundering is the integral part of any crime, the purpose of which is to gain illegal income. This is the conclusive stage of rendering crime the effective and highly-profitable enterprise, as the result of which economical

and then even political power becomes accumulated with the group of uncontrolled people in illegal and dangerous for society way.

It is difficult to imagine the real scope of financial sources, which are created by and according to which the organized criminals operate in many various countries due to the fact that the methods of money laundering are developed almost scientifically by the criminals. On basis of the analysis of the separate facts and occurrences one can only suppose over the spheres on which the influence of legalization of the illegal income and what kind of damage might incur by this negative occurrence to the particular state, region and the entire world society.

The volume of the legalized means endangers economy not only of the particular country, but also of the entire world, which is expressed by the integrity violation of the financial market. This process has become especially active with the increased speed of transferring capital from one country to another. Mass communication facilitated getting in touch with the partners abroad. Banking accelerated and simplified the procedure of implementation of the international deals. Modern technologies have stimulated development of legal entrepreneurial as well as criminal activities. The state is not always able to pass the effective economical policy, thus, the huge shadow sphere is set and developed, which might deform the national economy. Besides, inflation is increasing and legal private sector suffers a lot, the capability of implementation of the successful monetary-credit policy becomes doubtful. At times the volume of the illegal monetary means exceeds the budget of the state having the developing economy, and that in fact means criminalization of the whole country, the reputation of the country becomes violated, as the result of which the volume of the direct investments are increased and the capital is outflow detected.

Money laundering has social and political results. Criminals with their incomes influence policy of the country, and factually, take the part of the legitimate management functions.

The most important negative result of money laundering is its relation to those anti-societal occurrences such as the following: terrorism, illegal spreading of narcotic drugs and weapon, corruption, organized crime, etc. As the rule, legalization of the illegal income provides latent conditions for the above mentioned types of the crime and might at the same time become the reason as well as the result of increasing of these occurrences. In any case, money laundering is the additional stimulus for the criminal groups for expanding the criminal activities.

There are several problems related to combating legalization of the illegal income in the world. First of all, cooperation among the states is not close and intense enough and depends on political will, peculiarities of financial sphere, corruption level, social and economical development. Approaches to the indicated problem are also different – particular state, in order to attract the illegal capital by means of establishing convenient conditions attempts to provide some kind of compensation for lack of legal sources for financing of economical development.

Georgia, taking into account geopolitical standing of the country, one of the most attractive countries for money launderers. On one hand, Georgia is allocated on the border of Europe and Asia and exactly in this direction the significant drug trafficking is carried out, on the other part, the Autonomous Republic of Ajaria being in jurisdiction of Georgia and so-called Region of South Ossetia do not subordinate to the control by the central government and, supposedly, represent the focal points for contraband.

As the schemes of money laundering mainly are of the transnational nature and therefore, there is the real danger for Georgian economy to get involved

into them, quick and rational reaction by the state is required, as well as development of new approaches with the purpose of organization of combating against legalization of the illegal income and raising its effectiveness.

Hereby one shall underline that money laundering as the research object is the new direction for our country. In Georgian legislation money laundering was introduced in 90s of the past century, and that enables us to doubt the perfectness of the current legislation and to promote the arrangements aimed at improving the policy of combating legalization of the illegal income. For this it is absolutely necessary to verify the causes and conditions of this phenomenon, to find the ways and means of getting rid of it, and that on its own, is the subject of criminology.

All the above said has preconditioned practical and scientific relevance of the undertaken research.

Aim and main tasks of the research. The indicated thesis is one of the first moderate attempts to study scientifically legalization of the illegal income, elaborate in complex way on the criminological aspects of this occurrence and, with the purpose to prevent money laundering, for issuing the particular recommendations.

General purposes of the thesis work are the following:

- To carry on with the overall system organization of causes and conditions facilitating the crime and preventive measures for them;
- To implement the synthetic analysis of statistics of the crime registered in Georgia;
- To process the typology of the schemes for money laundering and to set those main principles, which represent the guide for the criminals while planning the illegal income legalization operations;

- To elaborate on and to issue the recommendations necessary for perfection of combating legalization of the illegal income.

Achievement of the set goal has been provided by means of settling the following general tasks:

- By analysis of the history of the crime related to the origins and spreading of money laundering;
- By analysis of legalization of the illegal income – as of the negative social occurrence;
- By accumulation and synthetic analysis of various relevant statistic data;
- By conducting of the social research and multilateral analysis of the received results;
- By studying schemes and methods of legalization widely known in the world practice;
- By analysis of those international legal norms and institutes as well as defining the general tendencies, which represent the international standards for suppression of money laundering;
- By studying, analysis and evaluation of effectiveness of the legal basis for suppression of money laundering in Georgia;
- By reviewing of the complexity of organization for combating the illegal income legalization as the most significant theoretical and applied method for settling the problem;
- By revealing of the determinants for legalization of the illegal incomes;
- With the purpose to perfect combating the legalization of the illegal incomes by means of formulating the scientific conclusions and elaborating on the practical recommendations.

Methodological and theoretical basis for the research. During the research the following criminal and sociological research methods have been applied:

- Historical – while studying the international aspects of the problems of combating legalization of the illegal income;
- Comparative legal – while studying international and national legislation;
- Statistical – while analyzing the data of Ministry of Internal Affairs of Georgia and the Supreme Court;
- Particular sociologic research – by means of the questionnaire method while polling five target groups of citizens – people employed into banking, business, public sectors, as well as the students and unemployed;
- Documental method – while studying special literature, legislation and analytical material.

The theoretical basis for the research in criminology, criminal law, other sciences of humanitarian profile, scientific works, guidebooks and publications of Georgian and foreign researchers; for the normative basis the international legal documents have been applied, Criminal Code of Georgia, the appropriate legislative and normative acts, as well as the statistic material, internet resources and etc. The author has widely applied her working experience in banking sphere.

Scientific novelty of the research and its practical significance. In the thesis there are presented and substantiated several new issues bearing scientific and practical significance, such as:

- Author’s version for definition of legalization of the illegal income as the complex social and legal occurrence, which in our opinion simplifies its understanding;
- During the research process the complexity of those general and special factors has been revealed, which influence the process of legalization of the illegal incomes;

- With the purpose to introduce the changes into the Georgian Law “About facilitation to the suppression of the illegal income legalization” the particular proposals are presented;
- Novelty and the practical significance of the research is also the attempt to verify the typology of money laundering schemes and of those general principles according to which the criminals act while planning money laundering operations.
- The practical significance of the thesis is based upon the criminological research carried out with application of the questionnaire method with the purpose to inquire about the social opinion in the framework of the presented research, and that in this sphere in Georgia has not been carried out before;
- In form of recommendations those main arrangements are defined, which are aimed to revelation and prevention of the facts of the illegal income legalization;

In the study the social nature of money laundering is studied, the relevant issues of combating legalization of the illegal income are reviewed; on basis of the theoretical and empirical materials the statements are elaborated on and substantiated for improving the criminological arrangements of combating the illegal income legislation. The sequence of presentation of the material is preconditioned by the attempt to develop the general opinion about money laundering as the special form of criminal activities, regarding its social determinant system and suppression arrangements.

The work in Georgian language is the attempt to create the complete source related to money laundering, and that in our opinion increases its value and provides the reader with the complete view about legalization of the illegal income in Georgia. Thesis materials from the practical point of view might be applied in the legislative activities; in the activities of the law-enforcement authorities for suppression, revelation, opening and investigation of the facts of legalization of the illegal income; in accordance

with the Georgian legislation by the persons implementing monitoring of combating the illegal income legalization while implementation of the liabilities undertaken by them; at the educational legal institution while teaching the Criminal Law Criminology courses; in the scientific-research activities while further working over settlement of the problems related to suppression of the illegal income legalization and of the criminal responsibility.

Approbation of the work. Reports on general provisions of the thesis are made at the round table meetings organized by Grigol Robakidze University and the Center of research of the crime and forecasting. The provisions expressing the thesis contents are published in different scientific articles.

Contents of the Work

First Chapter of the work is dedicated to legalization of the illegal income (money laundering), as the object of criminology research.

In the first paragraph of the indicated chapter the short historical prognosis is given on origins and spreading of the crime related to the money laundering, particularly in Georgia as well as generally the entire world over. In the work the particular examples are given of the actions similar to money laundering, and that exactly confirms existence of the indicated societal phenomenon on various historical stages in various countries. Hereby the history of legalization of the illegal income is given according to the actual understanding of the term, that is, we talk about its founder Meyer Lansky, who in 20s of the past century became the very first explorer of the most methods of money laundering know to the date.

In the paragraph the attention is paid to the revolutionary changes carried out in the world economy introduced in 80s of the past century, transition to the postindustrial economy and informational method of enterprising in developed countries; development of European market and creation of the new world financial centers; new opportunities of transferring the transnational capital as the result of liberalization of the financial markets and currency control are also underlined.

In the special paragraph the special place is occupied by the happenings occurred in Georgia starting from so-called Perestroika up to the late 90s. The circumstances are emphasized, that forming of the legal basis appropriate for the time and the situation, compared to the development temp of the current marketing relations in the country, has obviously been occurred inadequately. It is also underlined that during 90s the sharp lack of investment resources in Georgia has significantly lowered the sensibility threshold towards the problem of legalization of the illegal income. In 1999

in the Criminal Code of Georgia with the appropriate Article establishing of the responsibility for legalization of the illegal income has not changed the situation, as in the suppression of the illegal income legalization the idea of complex approach has not been realized.

In the second paragraph of the first chapter the concept of the illegal income legalization is analyzed, according to the international acts, works by the particular scientists, as well as according to the Georgian Legislation. As the result of the analysis of the definitions foreseen by the conventions, agreements and recommendations in the sphere of suppression of the illegal income legalization, and the conclusion is drawn, that according to the international standards the money laundering is defined as the method of hiding the illegal source of the income with the purpose that in future they might be used legally.

In the thesis the author's version of the definition is also proposed: "Legalization of the illegal income (money laundering) is the intentional distortion of the information about the source of origin (real) of the property gained illegally (received/purchased), and that is carried out via involving (transferring) such property into the legal economical turnover, with the purpose to cover he fact of their gaining (receiving/purchasing) in the illegal way and to provide the opportunity to dispose of the property freely." In the presented definition legalization of the illegal income is explained as the intentional action carried out by the person; the subject of laundering is specified, as the method and the purpose; unlawful act is presented, and its anti-societal direction is underlined.

The Second Chapter of the thesis work deals the main tendencies of legalization of the illegal income.

In the first paragraph of the second chapter for the first issue the statistical data related to the money laundering are reviewed by the Supreme Court of

Georgia and the Ministry of Internal Affairs. On basis of the analysis of the Supreme Court statistics, the conclusion has been drawn that in the issues for legalization of the illegal income, in most cases, the aggregate of the crimes is verified, that is, the person has been arraigned and the court drew the verdict of guilty by the unity of several Articles (among them - Article 194). As for the particular circumstances, how the facts of money laundering are expressed, the particular examples are provided, for example: According to the materials of the particular criminal case, in the Russian Federation fake companies were established, and on their names at the Georgian bank, with assistance of the Director General and having violated the legislation the accounts were set up. On those accounts without objective basis the huge sums were allocated, stripped and transferred to the offshore company. Among the statistic materials the facts of realization of the income gained illegally are also fixed.

Based upon the date the conclusions have been drawn that in 2008, 2009, 2010 the punishments imposed by the verdict were stricter for the period of deprivation of liberty, as well as the amount of the penalty. It is remarkable that in 2010 (by the data of 6 months only) quantitatively most criminal law issues were detected according to the Article 194 of the Criminal Procedural Code 194 the great number of the criminal law have been detected. All the above said confirms that the state attempts to correspond to the punishment severity, in order that together with these measures effectively carry out suppression of the criminal activities “neglected” in previous years. Though the conclusion is drawn, that statistical data reflects several facts of legalization of the really existing illegal income, which in our opinion is preconditioned by the following factors:

4. Legalization of the illegal income is characterized with the high level of latency, which is proved by the statistic indicators;
5. Law enforcement agencies do not have enough experience for effective combating against economical crimes and among them the

money laundering. This exactly is confirmed the statistic material provided by the Ministry of Internal Affairs, according to which in 2006–2010 crimes were detected by the Article 194 of the Criminal Procedural Code, out of which only 8 were opened, that is 18%.

6. Legalization of the illegal incomes is the crime of complex construction. As the rule, money laundering process does not cover only one particular operation, in addition it is widely spread in space and in time, due to the transnational nature and that naturally, makes it difficult to investigate and to punish.

The second issue of the same paragraph deals with the research of the social opinion related to the legalization of the illegal income, which was conducted with the method of questionnaire. In the research up to 400 respondents participated, there were 5 target groups presented – occupied in persons banking, public and business sector, as well as students and unemployed. On basis of the received results the following conclusions are made:

1. Due to the legal novelty of the money laundering, first of all, for us it was interesting how many respondents disposed of the information about legalization of the illegal income. It was revealed that 85% of the interviewed have no information about this crime. This is of course quite high indicator, though we consider that 15% of the interviewed, having no information about the crime belong to the risk group, which might be involved into the money laundering schemes by the criminals, which potentially might be involved into the money laundering schemes as the fake persons;
2. Almost 72% of the total number of respondents for the source to receive the information about legalization of the illegal income declared mass media means, and that once again confirms effectiveness of application of the mass information means for the educational purposes;

3. Most of the respondents are informed about the essence of money laundering. They have the right approach to the motive of the crime, the category of the criminals, provoking factors and those negative results, which are caused by this anti-societal occurrence;

4. 35% of the respondents consider, that provided the money laundering existed, the perspective of growing of its scope and spreading have solid basis in Georgia, and the following occurrences were nominated as the reasons for that: inadequate legislation, holding non-transparent tenders, non-sufficient combating against this occurrence by the appropriate bodies, corruption in upper echelons, huge amounts of foreign investments foreign articles, social calamity and low level of living, high tax rates, unstable political and economical standing, existence of the shadow economy, active utilization of the offshore companies, etc. The contrary position was fixed by 25% of the respondents. In their opinion, low level of corruption, huge amounts of the penalty sanctions, high probability and fear factor, transparency of financial institutions, effective activities of the state structures and adequate legislation do not exclude increase of the scopes of the money laundering in our country.

5. 61% of the respondents consider that legalization of the illegal income was carried out most actively in 1994–2003, and only in opinion of 22% – after the rose revolution. Though we have no opportunity to evaluate exactness of the social opinion based upon the statistical data, as only starting from 2005 the statistics on the cases regarding money laundering have been conducted by the Supreme Court, though taking into consideration the legislation changes, the state policy from the point of view of combating the corruption, rendering even stricter surveillance over the financial sector and other circumstances, one shall suppose, that the position of the respondents reflects the real standing.

6. Approximately 73% of the respondents consider that with the aim to prevent the money laundering it is necessary to undertake the measures in order to diminish the cash turnover. 53% of the respondents with this purpose reasonably consider it appropriate to shift the population to the bank transfers, and the indicated position is assessed positively by us, as the cash turnover is one of the means to avoid financial control.

7. While researching the following tendency was revealed – according to the sectors the positions on various issues were different in some sense. Public sector and especially students were distinguished with the obvious loyalty towards the state policy. Banking and especially business sector and unemployed were more critical towards the same issues.

